ბიზანტიური სამართლის კოსმოკრატიული ტრადიციები

ზოგადად სამართალი საზოგადოების ცივილიზებულ ინდივიდთა ერთობლიობად გარდაქმნაზე ორიენტირებული დეონტური იდეების აპოვატიკური სამყაროა, რომელიც აერთიანებს კოსმოცენტრულ გალაქტიკებს და ანთროპოცენტრულ განზომილებებს. თავისუფლად შეიძლება ითქვას! სამართალს ზემოაღნიშნული სილოგურად განსაზღვრული ეთნოგენური მისია სწორედ ბიზანტიურმა სამართალმა დააკისრა. მეტიც, აღნიშნული ფენომენი იურისპრუდენციად ანუ ნორმატიულ ბაზისთა სახით წარმოდგენილ კონტეპლაციურ აზრობრივ მოცემულობად სწორედ ბიზანტიასი იქცა. ბიზანტიის ანუ აღმოსავლეთ რომის იმპერია წარმოიშვა 395 წელს, როდესაც რომის იმპერატორმა თეოდოსიუსმა სამფლობელო ორ ვაჟს - ჰონორიუსს - დასავლეთი და არკადუსს - აღმოსავლეთი გაუყო. ქრისტიანული ბიზანტიონი ანუ კონსტანტინე დიდის ქალაქი - კონსტანტინოპოლი კოსმოგონიური ცოდნისა და თეოსტრატიული სიბრძნის კორელირებით მალე ართმევს პირველობას რომაული პოლითეისტური კულტურის განმასახიერებელ ე. წ. „მარადიულ ქალაქს“ - რომს. ბიზანტია IV საუკუნიდან მოყოლებული ვერტიკალური - ანუ ალომანასტრატიული მართვის სტილს იყენებდა. კერძოდ, უმაღლეს თეოგენიურსუბსტანციად გამოცხადდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ზოგადად წმინდა სამება, რომელსაც ბიზანტიელებმა უწოდეს „პანტოკრატორი“ – „ყოვლისმყრობელი“ ბიზანტიური ფილოსოფიის მიხედვით ღმერთმა სამყარო შექმნა საწყისთა შერწყმის გზით გონისმიერ საზრისთა აზრობრივი კოსმოსის ალომენურ სათავეებად აღქმის წყალობით. ბიზანტიური ფილოსოფიის თავდაპირველ შემოქმედებად - კოლხი ბრძენკაცები - იბერიის მეფის ბუზმარის შვილი - სირიული წყაროებით ნაბარნუგი - პეტყრე იბერი და მისი მოძღვარი - იოანე მითრიდატე - ამ პიროვნების მეორე სახელი, რომელიც შესაძლოა გავშიფროთ პელაზგურად -მითრა- კოლხთა ღვთაება დიკე - ჩვეულება ბერძნულად ანუ „მითრას ტრადიციის აღმსრულებელი“ ლაზი.

სწორედ ზემოხსენებულმა მოაზროვნეებმა შექმნეს ნეგატივისტური თეოლოგია, სიკეთის ანუ ეთიკური მონიზმის, ბოროტების არასუბსტანციურობის კონცეფცია, უფლის რაობის პოზიტივისტური პრედიკატებით განსაზღვრის შეუძლებლობის თეორია. ფსევდო -დიონისე არეოპაგელად (ნუცუბიძე - ჰონიგმანის თეორია) სახელდებული პეტრე იბერის და მისი მოძღვრის -იოანე ლაზის იდეებმა განსაზღვრეს ბიზანტიური სამართლის, როგორც აღმოსავლური სოფიზმის ზედნაშენის განვითარების გეზი. კერძოდ, ცნობილმა ბიზანტიელმა იურისტმა - კონსტანტინე არმენოპულოსმა განავითარა ე. წ. კოადიუტორული კოდიფიკაციის თეორია, რომლის თანახმად ნეგატიურმა მსჯელობამ თეოლოგიურ განსჯასთან კუმულატიური შერწყმით უნდა განსაზღვროს პოზიტიური ფინალი, ანუ უფრო დედუქციურად რომ ვთქვათ - სამართლიანი განაჩენი როგორც ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის შედეგი. ბიზანტიელებმა შემოიღეს ნომოფილაქსის - ანუ კანონთა დაცვის მაგისტრატის წოდება, რომელსაც ატარებდა ჰექსაბიბლოსის - ექვსწიგნეულის ავტორი - კონსტანტინე არმენოპულოსის ბიზანტიურ სამართალში რევოლუციური გარდაქმნა განახორციელა იმპერატორმა იუსტინიანე I-მა (525-565), რომლის აქტიური მოღვაწეობით, კერძოდ უძველესი რომაული იურიდიული ტრაქტატებისა და ცნობილ ბერძენ იურისტთა გამოსვლების კომბინატორული შერწყმით ბიზანტიელ იურისტთა ინტელექტუალურმა კოჰორტამ შექმნა კოდიფიკაციური კოდექსი - Code iutis civile – ამ ფაქტმა ბიზანტია სამართლებრივი ევოლუციის ხანგრძლივი პეოცესის რევოლუციურ იურიდიულ გარდაქმნებად ტრანსფორმირების მოვლენის წარმმართველ ზალად აქცია. ბიზანტია იმპერატორ ჰერაკლეს რეფორმამდე ლათინური ენობრივი და კულტურული მენტალობის სივრცე გახლდათ.

ლათინთა მამამთავარი ლატინოსი ბერძენი ოდისევსისა და კოლხი კირკეს შვილი გახლდატ. ანუ, ლათინური ესქატოლოგიის მიხედვით ლათინები მახევრად კოლხურ წარმოშობის ეთნოსტრატიულ კავშირს წარმოადგენენ. ბერძენთა იდეური და ნაწილობრივ გენეტიკური წინაპრები პელასგები კი აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის’ მიხედვით კოლხტა ახლო მონათესავე ხალხია. ბიზანტიაში კი

იმპერატორმა ჰერაკლემ განახორციელა ეზოთეორული აქტი - ორი ურთიერთბალანსირებადი სამართლებრივი ტრადიციის (ბერძნული და ლათინური) შერწყმის სახით. კონკრეტულად ჰერაკლემ პელასგური და კოლხური მითოსის სტიქსისებულ მდინარებაში გამწმენდილი ოკულტური იდეალები ემპირიულ ფაქტოლოგიაზე დაფუძნებულ ნორმატიულ მართლწესრიგთა მშობელ ეგზისტენციალურ საზრისებად გარდაქმნა. ბიზანტიაში იმპერატორს უწოდებდნენ კოსმოკრატორს, რაც ცემი აზრით ნიშნავს არა მხოლოდ ქრისტიანული სამყაროს მბრძანებელს, არამედ ზეციური და მიწიერი სამყაროების კონდიციონალურ დონეზე დამაკავშირებელ რგოლთა გენეტიკურ განსხეულებას. კოსმოსს აძლიერებს წესრიგი, ხოლო კოსმოსი, უფრო სწორად კოსმიური გონი განსაზღვრავს წესრიგის ტიპს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას! იმპერატორი ბიზანტიასი გახლდათ არა მხოლოდ ეგზოტერული მოცემულობის გამომხატველი ტიტული, არამედ ეზოთერული მისიის გამომსახველი წოდებაც. ბიზანტიურ სამართალში ფაზისის აკადემიაში გამოწვრთნილმა ლაზმა მოაზროვნეებმა დაამკვიდრეს კოსმოკრატიული დიარქიის - სასულიერო პატრიაქული ხელისუფლების და საიმპერატორო საერო ძალაუფლების ჰარმონიული თანაარსებობის თეოროფიურ - მეტაფიზიკური კონცეფცია. მაგალითად ბიზანტიელი ლექსიკოგრაფი სვიდა ლაზებს - აღმოსავლეთის განმანათლებლებს უწოდებდა, ხოლო აგათია სკოლასტიკოსი პირდაპირ კონკრეტულ ფაქტს აღწერს, კერძოდ ლ;აზტა მეფე გუბაზ მეორის მკვლელ ბიზანტიელ სტრატილატთა სასამართლოს ლაზიკაში იგი ამბობს: „ეს იყო ნამდვილი ბერძნული სასამართლო პროცესი კავკასიონის მთის ძირში“. 554 წელს გამართულ ეგრისის სახალხო კრებაზე წარმოტქმული სიტყვები აიეტისა და ფარდაზისა ბიზანტიელ ისტორიკოსტა მიერ კავკასიური რიტორიკის მწვერვალად მიიჩნეოდა. ბიზანტიურ სამართალში შეიქმნა აზრობრივი ძალა, რომელმაც იურიდიული ცოდნის თვალისმომჭრელი სხივით გაანატა აზიური დესპოტიზმის ბნელი იდეური ლაბირინთები. მაგალიტად, ბიზანტიაში არსებობდა კონსსისტორია, რომელიც იმპერატორს ემორჩილებოდა, თუმცა რიგ შემთხვევებში, საიმპერატორო ხელისუფლების ლეგიტიმაციის დამამტკიცებელ სამართლებრივ ინსტიტუციად გარდაისახებოდა: კონსისტორიაში დისპექტი მუდმივ ხასიათს იძენდა, რაც მიმართული გახლდათ იმპერიის კეთილდღეობისკენ. ამ ორგანოში ბიზანტიის იმპერატორი ხედავდა ძალას, რომელიც ხალხის, როგორც მისი საერო სამწყმსოს ინტერესთა გახმოვანებლის ფუნქციას ასრულებდა. ბიზანტიურ იურისპრუდენციასი ერთმანეთს ოსტატურად შეერწყა პანდექტი, დიგესტი, ნოველა და ფილიპიკი. თანამედროვე პანდექტისტიკის საწყისთა ძიებას სწორედ ბიზანტიურ კულტურასთან მივყავართ. ბიზანტიაში ჩამოყალიბდა ცნება – „ იურიდიული კლაუზულა „-„ ღმერთმა დამაჯერა“. რაც ხშირად ბრალის დენომინირებულად გამომრიცხველ გარემოებატა მშობელ სამართლებრივ სტრუქტურებულ მოცემულობად ესახებოდათ ბიზანტიელ იურისტებს. ბიზანტიური აზროვნების იდეური ქვაკუთხედი მართლმადიდებლური სულიერება გახდა, როგორც ფენომენი რომელმაც ბიზანტიური სამართალი აღმოსავლეთის საქრისტიანოს განვითარების ძალად დასახა. მართლმადიდებლობა აღქმული როგორხც სიკეთეში გაცხადებული მარადიული უკვდავება გახლდათ ბიზანტიური სამართლის აზრობრივი „ალმა მატერი“.

1. დიარქიული კონცეფცია.
2. კოსმოკრატიული ძალაუფლება
3. ეზოთერული აზროვნება
4. სამართლებრივ აზრთა ესთეტიკურ კატეგორიებად გარდაქმნა
5. რელატიური ჭეშმარიტების დადგენაზე ორიენტირება
6. ფაქტოლოგიურ კონდიციასი ყოფნა
7. სამართლებრივი მეხსიერების წარმომშობ ძალად - კოსმიური გონის მიჩნევა.